საქართველო
მაკრო მიმოხილვა

Delivering Progress

3 თებერვალი **2022**

www.pmcreseach.org

შინაარსი

ვაქცინაცია საქართველოში

ეკონომიკური ზრდა

2021 წლის მესამე კვარტლის შედეგები
2022 წლის პროგნოზები

ეკონომიკური და ბიზნეს კლიმატი

ifo ინდექსი: საქართველოს ეკონომიკური კლიმატი
BAG ინდექსი: საქართველოს ბიზნეს კლიმატი

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

ძირითადი მაჩვენებლები
საგადასახადო შემოსავლები
ხარჯები

მთავარი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ინფლაცია და ფასები
გაცვლითი კურსი
შრომის ბაზარი: დასაქმება და ხელფასები
შრომის ბაზარი: ვაკანსიები

საგარეო სექტორი

ტურიზმი
ვაჭრობა
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
ფულადი გზავნილები

ვაქცინაცია საქართველოში



- 1 თებერვლის მდგომარეობით, საქართველოში ვაქცინის 2 722 187 დოზა იქნა ადმინისტრირებული
- 31 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის 30.5% სრულადაა ვაქცინირებული, ხოლო 36.8% ერთი დოზით მაინც არის ვაქცინირებული

წყარო: OurWorldInData.org

ეკონომიკური ზრდა:
2021 წლის მესამე კვარტლის შედეგები

	რეალური მშპ, 2015 წლის მუდმივი ფასებით	მშპ-ს ზრდა	
შერჩეული სექტორები	**III კვ. 2021**	**III კვ. 2021/ III კვ. 2019**	**III კვ. 2021/ III კვ. 2020**
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	275.2	62.8%	78.8%
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	497.5	25.6%	23.8%
ინფორმაცია და კომუნიკაცია	393.7	25.1%	18.4%
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	677.3	17.1%	20.3%
სამთომოპოვებითი მრეწველობა	131.9	16.9%	2.2%
ხელოვნება, გართობა და დასვენება	392.1	15.9%	48.1%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	1,517.1	14.4%	12.3%
მშენებლობა	440.2	-34.6%	-29.7%
ტრანსპორტი და დასაწყობება	442.5	-9.4%	29.0%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	340.5	-29.1%	50.0%
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	86.8	-37.4%	40.8%

- 2021 წლის მესამე კვარტალში, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდების სექტორის ზრდამ, 2019 წლის მესამე კვარტალთან შედარებით, 62.8% შეადგინა
- 2021 წლის მესამე კვარტალში, 2019 წლის მესამე კვარტალთან შედარებით, ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობებისა და მშენებლობის სექტორებმა ყველაზე დიდი, 37.4% და 34.6%-იანი კლება აჩვენა, შესაბამისად

წყარო: National Statistics Office of Georgia

ეკონომიკური ზრდა: 2022 წლის პროგნოზები



- PMC კვლევითი ცენტრის პროგნოზი 2021 წლის რეალური მშპ-ს ზრდის დაზუსტებული მონაცემის შესახებ 11.3%-ს შეადგენს, ხოლო 2022 წლისთვის - 5.6%-ს
- ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, რომელიც ვაქცინაციის მაჩვენებლის ზრდას და ლოქდაუნების მცირე ალბათობას ითვალისწინებს, ეკონომიკის რეალური ზრდის პროგნოზი 2022 წელს 6.3%-ია
- პესიმისტური სცენარის შემთხვევაში, რომელიც ვაქცინაციის მაჩვენებლის დაბალ დონეზე შენარჩუნებას, ლოქდაუნების შედარებით მაღარ ალბათობას, და ასევე, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ესკალაციის შესაძლებლობას ითვალისწინებს, ეკონომიკის რეალური ზრდის პროგნოზი 2022 წელს 4.1%-ია

წყარო: PMC Research

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი



- 2021 წლის მეოთხე კვარტალში, გამოკითხულმა ეკონომისტებმა ქვეყნის ეკონომიკური კლიმატი დადებითად შეაფასეს, რაც პირველი შემთხვევაა პანდემიის დაწყებიდან

წყარო: PMC Research

BAG ინდექსი: საქართველოს ბიზნეს კლიმატი



- 2021 წლის მეოთხე კვარტალში, გამოკითხულმა ბიზნესებმა პოზიტიურად შეაფასეს როგორც მიმდინარე მდგომარეობა, ისე მოლოდინი მომავალი კვარტლისათვის
- სექტორებს შორის ყველაზე ცუდი შეფასება ორივე ინდიკატორში მშენებლობის სექტორმა დააფიქსირა. მრეწველობის სექტორმა ყველაზე კარგად შეაფასა მიმდინარე მდგომარეობა, ხოლო ვაჭრობის სექტორს ყველაზე ოპტიმისტური მოლოდინი აქვს მომავალი კვარტლისთვის

წყარო: BAG Index

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი:
ძირითადი მაჩვენებლები



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი:
საგადასახადო შემოსავლები



- ჯამში დაგეგმილი საგადასახადო შემოსავლები 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით აღწევს 13.4 მილიარდ ლარს, რაც 2021 წლის მაჩვენებელზე 17.3%-ით მაღალია
- დაგეგმილ საგადასახადო შემოსავლების ზრდაში დიდი წვლილი აქვს საშემოსავლო და მოგების გადასახადიდან შემოსავლების გაზრდილ დაგეგმილ მაჩვენებლებს, რომლებიც 808 და 606 მილიონი ლარით არის გაზრდილი 2021 წლის მაჩვენებლებთან შედარებით.
- ყველაზე მაღალი პროცენტული ზრდა მოაზრებულია მოგების გადასახადისთვის, რომელიც 2021 წლის მაჩვენებელს 59.6%-ით გადააჭარბებს

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი: ხარჯები



- ჯამში, 2022 წლის ბიუჯეტის ხარჯები 2021 წელთან შედარებით, იზრდება 2.4%-ით, 15.4%-ით 2020 წელთან შედარებით, ხოლო 2019 წელთან შედარებით, 41.3%-ით
- 2022 წლის ბიუჯეტში ეკონომიკურ აქტივობაზე ხარჯები იზრდება 26.2%-ით, ხოლო ჯანდაცვაზე ხარჯები შემცირება 26.7%-ით
- ხარჯები სოციალურ დაცვაზე, რომელიც 2020 და 2021 წლებში საგრძნობლად გაიზარდა (43.7% და 43.2%-ით 2019 წელთან შედარებით, შესაბამისად), 2022 წელსაც მაღალ, 4.45 მილიარდ ლარის ნიშნულს შეინარჩუნებს, რაც მთლიანი ბიუჯეტის ხარჯების 26%-ს წარმოადგენს

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მთავარი მაკროეკონომიკური ინდიკატორები: ინფლაცია



- 2021 წელს, საშუალო წლიდან წლამდე (YoY) ყოველთვიური ინფლაცია გაუტოლდა 9.6%-ს. ამ ზრდაში ყველაზე დიდი კონტრიბუცია ქონდა „სურსათი და უალკოჰოლო სასმელები“-სა და „ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“-ს კატეგორიებს (3.6 და 2.0 პროცენტული პუნქტები, შესაბამისად)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მთავარი მაკროეკონომიკური ინდიკატორები: ინფლაცია


სამომხმარებლო კალათის კატეგორიების კონტრიბუცია
ყოველთვიურ წლიდან წლამდე ინფლაციის მაჩვენებელში
პროცენტული პუნქტი, (2021)
%
14
12
10
8
6
4
2
0
-2
2.8
3.6
7.2
7.2
7.7
9.9
11.9
12.8
12.3
12.8
12.5
13.9
-1.8
-1.9
2.1
2.1
2.0
1.1
1.1
2.9
4.6
5.4
5.2
6.0
5.6
4.9
0.5
0.2
0.8
0.6
0.7
0.3
0.4
0.5
0.6
0.7
0.9
1.1
1.7
2.3
2.9
3.0
2.6
2.7
2.2
3.9
1.0
0.8
0.9
0.4
0.3
0.6
0.7
0.5
0.6
0.7
0.6
0.7
0.6
0.6
0.7
0.6
0.7
0.6
0.7

BAG ინდექსი: ფასების მოლოდინები









- გამოკითხული ბიზნესების დაახლოებით მესამედი „ვაჭრობის“, „მომსახურებისა“ და „მრეწველობის“ სექტორებში 2022 წლის პირველ კვარტალში ფასების ზრდას ელიან, ხოლო „მშენებლობის“ სექტორში გამოკითხულ ბიზნესების ნახევარს ანალოგიური მოლოდინი გააჩნია

* მოლოდინები

წყარო: BAG Index

მთავარი მაკროეკონომიკური ინდიკატორები: გაცვლითი კურსი



- BAG-ის წევრი ბიზნესების მოლოდინების თანახმად, მომავალი ექვსი თვის განმავლობაში, ლარი დოლარის მიმართებით:



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, BAG Index

ხელფასის მიმღებ პირთა რაოდენობა სახელფასე კატეგორიების მიხედვით, და ამ რაოდენობის ზრდა 2020-ისა და 2019-ის შესაბამის თვესთან შედარებით



- 2021 წლის განმავლობაში, თვეში ხელფასად 0-600 ლარის მიმღებ პირთა წილი საშუალოდ 27%-ს შეადგენდა, ხოლო 2400 ლარზე მეტი ხელფასის მქონე პირთა წილი საშუალოდ 15%-ს გაუტოლდა

* 0-600 ლარისა და 601-1200 ლარის მიმღებ პირთა წილის კლება დეკემბერში სავარაუდოდ გამოწვეული იყო მე-13 ხელფასის მიმღებ პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობით

წყარო: [საქართველოს შემოსავლების სამსახური]

მთავარი მაკროეკონომიკური ინდიკატორები: ვაკანსიები



- 2021 წელს გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა jobs.ge-ს პლატფორმაზე გაიზარდა 77%-ით, 2020 წელთან შედარებით, და 20%-ით, 2019 წელთან შედარებით

წყარო: jobs.ge

შიდა და საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა და მათი შედარება 2019 წლის შესაბამის პერიოდთან



- საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა 2021 წელს მცირედით აღსდგა, თუმცა მისი მაჩვენებელი 2019 წლის დონის მხოლოდ მცირე ნაწილია
- საპირისპიროდ, შიდა ვიზიტების რაოდენობამ 2021 წელს საგრძნობლად გადააჭარბა 2019 წლის შესაბამის მაჩვენებლებს

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაცია

საგარეო სექტორი: ვაჭრობა





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საგარეო სექტორი:
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



- 2021 წლის მესამე კვარტალში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა 1.4%-ით, 2020 წლის მესამე კვარტალთან შედარებით, ხოლო 2019 წლის მესამე კვარტალთან შედარებით, შემცირდა 25.9%-ით
- 2021 წლის მესამე კვარტალში, რეინვესტირების წილმა საქართველოში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 98.1%-ს მიაღწია

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საგარეო სექტორი: ფულადი გზავნილები



- 2021 წელს, 2019 წელთან შედარებით, ფულადი გზავნილების შემოდინებები საქართველოში გაიზარდა 23.6%-ით და 2.3 მილიარდ დოლარს გაუტოლდა, ხოლო 2020 წელთან შედარებით ზრდამ 12.7%-ს მ მიაღწია

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში არაფერი არ წარმოადგენს ან გულისხმობს რაიმე სახის რჩევას და შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე და ცნობს შესაბამის რისკებს. PMC კვლევითი ცენტრი არ იქნება პასუხისმგებელი მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება; ან რომ
- პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევის ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეული ნებისმიერი ზიანის ყოველგვარ პასუხმისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასთან ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესაზებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევარებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიების, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

ნიკა კაპანაძე
უმცროსი მკვლევარი
n.kapanadze@pmcginternational.com

სოფო ბასილიძე
მკვლევარი
s.basilidze@pmcginternational.com

ნიკოლოზ ბაქრაძე
უმცროსი მკვლევარი
n.bakradze@pmcginternational.com

გიორგი წულაია
უმცროსი მკვლევარი
g.tsulaia@pmcginternational.com

ანასტასია ჩხენკელი
კვლევითი ასისტენტი
a.chkhenkeli@pmcginternational.com

ნანა ქაჯაია
კვლევითი ასისტენტი
n.kajaia@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა:
research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org